

The travels of Sir John Mandeville; the version of the Cotton manuscript in modern spelling, with three narratives, in illustration of it, from Hakluyt's "Navigations, voyages & discoveries." Paperback – August 31, 2012

ჯონ მანდვეილი (დაახ. 1300-1372) - მიჩნეულია პირველ დიდ ინგლისელ მოგზაურად და ინგლისური პროზის მამად. ავტორი წიგნისა „სერ ჯონ მანდვეილის მოგზაურობის წიგნი, მსოფლიოს საოცრებათა წიგნი(*Le livre messire Jehan de Mandeville, Livre des merveilles du monde*), დედნის ენა - ძველი ფრანგული). მოგზაურობდა დაახ. 1322 წლიდან 1355 წლამდე - თურქეთში, სირიაში, არაბეთში, ეგვიპტეში, პალესტინაში, ეთიოპიაში, სომხეთში, რუსეთში, სპარსეთში, მესოპოტამიაში, ინდოეთში, ჩინეთში და ა.შ. ჯონ მანდვეილი ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოსა და სომხეთის შესახებ.

საქართველოს შესახებ¹

There be other, that men clepe Georgians, that Saint George converted and him they worship more than any other saint, and to him they cry for help. And they came out of the realm of Georgia. These folk use crowns shaven. The clerks have round crowns, and the lewd men have crowns all square. And they hold Christian law, as do they of Greece.

Other there be that men clepe Christian men of Girding, for they be all girt above. And there be other that men clepe Nestorians. And some Arians, some Nubians, some of Greece, some of Ind, and some of Prester John's Land. And all these have many articles of our faith,

¹ CHAPTER XXVIII, THE EMPEROR OF PERSIA, AND OF THE LAND OF DARKNESS; AND OF OTHER KINGDOMS THAT BELONG TO THE GREAT CHAN OF CATHAY, AND OTHER LANDS OF HIS, UNTO THE SEA OF GREECE; <https://romanization.com/books/mandeville/chap28.html>

and to other they be variant. And of their variance were too long to tell, and of their variance were too long to tell, and so I will leave, as for the time, without more, speaking of them.

არიან სხვა ხალხებიც, რომელთაც გეორგიანებს უწოდებენ, რადგან ისინი წმ. გეორგიმ მონათლა და ისინი მას უფრო მეტად ეთაყვანებიან, ვიდრე სხვა რომელიმე წმინდანს და მას ყოველთვის შესთხოვენ დახმარებას. ისინი გეორგიას ქვეყნიდან არიან. ისინი თავზე ტონზურას ატარებენ: სასულიერო პირები - მრგვალს, ხოლო საეროები - კვადრატულს. ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ ისეთივე რწმენას მისდევენ, როგორც ბერძნები.

კიდევ არიან სარტყელის ქრისტიანები, რომელთაც ასე იმიტომ ეძახიან, რადგან ყველანი ქამარშემორტყმულნი დადიან. და კიდევ სხვები, რომელთაც ნესტორიანელებს ეძახიან, ასევე არიანელები, ნუბიელები, ბერძნები, ინდოელები და იოანე პრესვიტერის ქვეშევრდომები. ბევრ საკითხში მათი სარწმუნოება ჩვენსას ემთხვევა, მაგრამ განსხვავებებიც არის. დიდ ხანს მოვუნდები, ყველა რომ ჩამოვთვალო, სხვა დროს იყოს.

•

After that is the kingdom of Georgia, that beginneth toward the east to the great mountain that is clept Abzor, where that dwell many diverse folk of diverse nations. And men clepe the country Alamo. This kingdom stretcheth him towards Turkey and toward the Great Sea, and toward the south it marcheth to the great Armenia. And there be two kingdoms in that country, that one is the kingdom of Georgia, and that other is the kingdom of Abchaz. And always in that country be two kings; and they be both Christian. But the king of Georgia is in subjection to the great Chan. And the king of Abchaz hath the more trong country, and he always vigorously defendeth his country against all those that assail him, so that no man may make him in subjection to no man.

შემდეგ საქართველოს სამეფო მოდის, რომელიც იწყება აღმოსავლეთით დიდ მთასთან, რომელსაც აბზორს (ელბრუსს) ეძახიან, სადაც მრავალი განსხვავებული

ხალხი ცხოვრობს. მისი მცხოვრებლები ამ ქვეყანას უწოდებენ ალამოს (ალანია). ეს სამეფო გადაჭიმულია თურქეთამდე და დიდ ზღვამდე, ხოლო სამხრეთით დიდ არმენიამდე. ამ ქვეყანაში ორი სამეფოა: ერთი - გეორგიას სამეფო, მეორე - აფხაზთა სამეფო. ამ ქვეყანაში ყოველთვის ორი მეფეა. ორივე ქრისტიანია. გეორგიის მეფე დიდ ყაენს ემორჩილება. აფხაზეთის მეფეს მიუსვლელი ქვეყანა აქვს და ყოველთვის ყველასაგან, ვინც თავს ესხმის, ენერგიულად იცავს თავის სამფლობელოებს და ვერავინ აიძულებს მორჩილებას.

•

In that kingdom of Abchaz is a great marvel. For a province of the country that hath well in circuit three journeys, that men clepe Hanyson, is all covered with darkness, without any brightness or light; so that no man may see ne hear, ne no man dare enter into him. And, natheles, they of the country say, that sometimes men hear voice of folk, and horses eighing, and cocks crowing. And men wit well, that men dwell there, but they know not what men. And they say, that the darkness befell by miracle of God. For a cursed emperor of Persia, that hight Saures, pursued all Christian men to destroy them and to compel them to make sacrifice to his idols, and rode with great host, in all that ever he might, for to confound the Christian men. And then in that country dwelled many good Christian men, the which that left their goods and would have fled into Greece. And when they were in a plain that hight Megon, anon this cursed emperor met with them with his host for to have slain them and hewn them to pieces. And anon the Christian men kneeled to the ground, and made their prayers to God to succour them. And anon a great thick cloud came and covered the emperor and all his host. And so they endure in that manner that they ne may not go out on no side and so shall they evermore abide in that darkness till the day of doom, by the miracle of God. And then the Christian men went where them liked best, at their own pleasance, without letting of any creature, and their enemies enclosed and confounded in darkness, without any stroke.

აფხაზთა სამეფოში დიდი სასწაული ხდება. ქვეყნის ერთ პროვინციაში, საიდანაც სამი დღის სავალია და რომელსაც ჰანისონი ეწოდება, სრულ წყვდიადშია ჩაფლული, ისე, რომ იქ ვერაფერს დაინახავ. ვერცერთი ადამიანი ვერ ბედავს იქ შესვლას. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ხანდახან ესმით ადამიანების ხმა და ცხენების ჭიხვინი, მამლების ყვილიც. მათ ზუსტად იციან, რომ იქ ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ არ იციან, თუ ვინ არიან ისინი. ამბობენ, რომ იქაური წყვდიადი ღვთის სასწაულია. ოდესღაც სპარსეთის დაწყევლილმა იმპერატორმა, რომელსაც საურესი ერქვა, ქრისტიანებს დევნა დაუწყო, რათა მათ მისი კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირათ; იგი თავისი ჯარით ყველგან ლაშქრობდა, რათა ქრისტიანები მოესპო. ამ ქვეყანაში იმ დროს ბევრი კეთილი ქრისტიანი ცხოვრობდა, რომელთაც მიატოვეს თავიანთი ქონება და საბერძნეთში გაიქცნენ. და როდესაც ისინი მულანის დაბლობზე იმყოფებოდნენ, შეხვდნენ ამ დაწყევლილ იმპერატორს თავის ჯართან ერთად, ხოლო იმპერატორმა ბრძანა ქრისტიანთა მოკვლა და ნაწილებად მათი აკუწვა. მაშინ ქრისტიანები მუხლებზე დაეცნენ და უფალს მიმართეს თხოვნით დახმარებოდა მათ. და მაშინ ჩამოეშვა დიდი შავი ღრუბელი და იმპერატორისა და მისი ჯარის თავზე დაეშვა. ამიერიდან იქიდან ვეღარ გამოდიან და ასე იქნება უკანასკნელ სამსჯავრომდე, ღვთის სასწაულით. ქრისტიანები იქიდან წავიდნენ, ხოლო მათი მტრები წყვდიადში დარჩნენ, გარშემორტყმულნი და განადგურებულნი.

სომხეთის შესახებ

And then after is Armenia, in the which were wont to be four kingdoms ; that is a noble country and full of goods. And it beginneth at Persia and stretcheth toward the west in length unto Turkey. And in largeness it dureth to the city of Alexandria, that now is clept the Gate of Hell, that I spake of before, under the kingdom of Media. In this Armenia be full many good cities, but Taurizo is most of name.

შემდეგ სომხეთია, სადაც ოდესღაც ოთხი სამეფო იყო. ესაა კეთილშობილი ქვეყანა, სიკეთით სავსე. ის იწყება სპარსეთში და დასავლეთ თურქეთის მიმართულებითაა გადაჭიმული. სიგანეში კი ის გადაჭიმულია ქალაქი ალექსანდრიიდან, რომელიც ახლა რკინის კარებად იწოდება, მედიის სამეფომდე. სომხეთში ბევრი კარგი ქალაქია, მაგრამ ყველაზე ცნობილი არის თავრიზი.

მთარგმნელი მ. ჯავახიშვილი

